საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეგრისის სახალხო კრება 555

ეგრისის სახალხო კრება 555, შეიკრიბა ბიზანტიელი სარდლების მარტინეს, ბესასა და რუსტიკეს მიერ ეგრისის მეფის გუბაზ II-ის ვერაგულად მოკვლის გამო (იხ. ეგრისის დიდი ომი 542–562). კრებაზე ქვეყნის პოლიტ. ორიენტაციის საკითხი წყდებოდა. ეგრისის დიდებულთა ერთი ჯგუფი, რ-თაც აიეტი მეთაურობდა, მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; მეორე, ფარტაზის ჯგუფი, ირანთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო და საჭიროდ მიაჩნდა იმპ. იუსტინიანე I-თვის მოეთხოვათ გუბაზის მკვლელთა სასტიკი დასჯა და ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის წათეს დამტკიცება. ცხარე კამათის შემდეგ მეორე აზრმა გაიმარჯვა და კრებამ აირჩია დიდებულთა დეპუტაცია კონსტანტინოპოლში გასაგზავნად. იუსტინიანე I იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეგრისელთა მოთხოვნა. ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა ე. ს. კ-ზე აიეტისა და ფარტაზის სიტყვების ტექსტი. ეს გამოსვლები ქართ. ორატორული ხელოვნების უძველეს ნიმუშებად ითვლება.

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936.

ლიტ.: გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, თბ., 1973; კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, ტ. 1, თბ., 1975; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ.1).

ნ. ლომოური